წმინდა სინოდმა დაამტკიცა მღვდელთმთავართა თათბირის გადაწყვეტილებები

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.08.2023. 24 აგვისტოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის **სხდომაზე** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ **განცხადება გააკეთა** მღვდელთმთავართა თათბირის შესახებ, რომელიც 19 ივლისს გაიმართა (ჟურნალი №47).

წმიდა სინოდმა 2022 წლის 29 დეკემბერს გამართულ სხდომაზე დაადგინა: „ეკლესიური ცხოვრების მიმდინარე საკითხების ძმური განხილვის მიზნით, 2023 წლის 19 ივლისს მოწვეული იქნეს მღვდელთმთავართა თათბირი. რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე ეპარქიების ყველა ეპარქიალური და ვიკარული ეპისკოპოსების დასწრება სავალდებულოა, ხოლო სხვა ქვეყნების ეპარქიების ეპისკოპოსებისა იმდენად, რამდენად მოსკოვში ჩამოსვლის შესაძლებლობა ექნებათ“ (ჟურნალი No121).

მიმდინარე წლის 19 ივლისს წმინდა სერგის სამების ლავრასთან არსებული მოსკოვის სასულიერო აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართა **მღვდელთმთავართა თათბირი,** რომელშიც მონაწილეობა მიიღო 271 მღვდელთმთავარმა, მათ შორის 223 მმართველმა, 42 ვიკარულმა და 6 პენსიაზე გასულმა ეპისკოპოსმა.

თათბირზე გაიმართა უწმიდესი პატრიარქის კირილეს **მოხსენების** საფუძვლიანი განხილვა. განიხილეს **დოკუმენტის** – „ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების დამახინჯების თაობაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქების საქმიანობასა და მისი წარმომადგენლების გამოსვლებში“ პროექტი, რომელიც მოამზადა ბიბლიური საღვთისმეტყველო სინოდალურმა კომისიამ და წარმოადგინა მისმა თავმჯდომარემ, ბუდაპეშტიისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა. მონაწილეები დაეთანხმნენ ამ დოკუმენტის დასკვნებს და გადასცეს ის წმინდა სინოდს დასამტკიცებლად.

მღვდელთმთავართა თათაბირის შედეგად მიღებულ იქნა **დადგენილება.**

წმინდა სინოდის სხდომის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ეპისკოპოსთა თათბირის ჩატარებით და მადლობა გადაუხადეს უწმინდეს პატრიარქ კირილეს თათბირის მუშაობის წარმართვისა და წარმოდგენილი მოხსენებისათვის.

სინოდმა დაამტკიცა ეპისკოპოსთა თათბირის დადგენილება და დოკუმენტი „ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების დამახინჯების თაობაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქების საქმეებსა და მისი წარმომადგენლების გამოსვლებში“, ასევე, მადლობა გადაუხადა ბიბლიური საღვთისმეტყველო სინოდალური კომისიის წევრებს აღნიშნული დოკუმენტის მომზადებისთვის.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90661/